

# სსივური თერაპია — სიმსივნესთან ბრძოლის ეფექტური საშუალება



ქირურგიის ეროვნულ ცენტრში სსივური თერაპიის დეპარტამენტი 2018 წელს გაიხსნა. მას შემდეგ აქ 300-ზე მეტ ონკოლოგიურ პაციენტს უმკურნალეს. შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. სწორედ მათი წარმოჩენა იყო იმ პრეზენტაციის მიზანი, რომელიც ექიმებისა და “ავერსის” ტოპმენეჯერებისთვის 2 აპრილს გაიმართა.

სსივური ამაჩქარებლების დამონტაჟებამდე საჭირო იყო ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა წესის დაცვით. ნაგებობათა პროექტი ქირურგიის ეროვნულ ცენტრს აპარატების მწარმოებელმა ცნობილმა ამერიკულმა ბრენდმა “ვარიანმა” მიანოდა.

ქირურგიის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა **ლამა ბაზაძემ** ფოტომასალის დახმარებით გააცნო სტუმრებს დეპარტამენტის ისტორია მოსამზადებელი სამუშაოებიდან სსივური ამაჩქარებლების დამონტაჟებამდე და პაციენტების მკურნალობამდე, დაათვალთვალებინა “ვარიანის” თანამედროვე, ზედმინევენით დახვეწილი 2018-2019 წლის კლინიკურად ეკვივალენტური სსივური ამაჩქარებლები Truebeam და Vitalbeam.

— ტყუპი აპარატი გარანტიას გვაძლევს, რომ გაუთვალისწინებელი ტექნიკური პრობლემის ან თუნდაც პროფილაქტიკური დათვალთვალების გამო პაციენტს მკურნალობა არ შეუჩერდება, — აღნიშნა მან, — ეს კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ერთი ფრაქციის ჩავარდნაც კი ამცირებს სასურველი შედეგის მიღების შანსს.

— ონკოლოგია როგორც მეცნიერება ახალ საფეხურზე ავიდა, — განაცხადა ქირურგიის ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ **თეა გამეზარდაშვილმა**, — ახალი სტანდარტები მულტიკომპლექსურ მიდგომას გულისხმობს. სსივური თერაპია ონკოქირურგიასა და ქიმიოთერაპიასთან ერთად საუკეთესო შედეგს იძლევა. კიბოსთან ბრძოლაში არ უნდა დავმარცხდეთ! ბევრს შიშს ჰგვრის ამ მეთოდის ხსენება, თუმცა არაერთი პაციენტისთვის ახალი სიცოცხლე სწორედ სსივური თერაპიით დაიწყო.

საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, სიმსივნე შეიძლება ყოველ მესამე ადამიანს დაემართოს. ამ რეალობასთან შესაბამისად ქართული მედიცინა გულმოდგინედ ემზადება. ქირურგიის ეროვნული ცენტრიც თამამად უსწორებს თვალს ტექნოლოგიურ გამოწვევებს. უკვე ამოქმედდა მაღალი სტანდარტის ონკოლოგიური დეპარტამენტი ქირურგიის, ქიმიოთერაპიისა და სსივური თერაპიის ერთობლიობით. თანამედროვე აპარატურით აღჭურვას თან სდევს კადრების უწყვეტი გადამზადება მაღალი ტექნოლოგიების ასათვისებლად.

ჩვენი სერვისები ვითარდება იმ სტრატეგიული გეგმის თანახმად, რომელიც ჩამოვყალიბეთ 2014 წელს და ყოველწლიურად ვხეწვთ და ვავსებთ სიახლეებით. მოკლე ხანში ამოქმედდება ბრაქითერაპიის სის-

ტემა, დამონტაჟდება აღმოსავლეთ ევროპაში პირველი ციფრული პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფი, რომელიც სანაოსნო ეტაპზე მოგვცემს სიმსივნის დიაგნოსტიკის შესაძლებლობას. ასე რომ, სათანადოდ შეიარაღებულები ვხვდებით გამოწვევას, რომელსაც ონკოლოგიურ დაავადებათა თანამედროვე მკურნალობა ჰქვია.

რადიოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ბესიკ სოყურაშვილმა** სტუმრებს აჩვენა, როგორ არის დაცული პაციენტის უსაფრთხოება სსივური თერაპიის დროს:

— ყოველდღიური პროცედურები ტარდება IGRT (გამოსახულებით მართული რადიოთერაპია) კონტროლით. მიღებულ გამოსახულებაზე ექიმი აკონტურებს სამიზნე მოცულობას და კრიტიკულ ადგილებს, რომლებიც მინიმალურად უნდა დასხივდეს, სამედიცინო ფიზიკოსი კი ითვლის, რა ფორმით მიანოდოს პაციენტს დასხივების ექიმის მიერ შერჩეული დოზა და როგორ დაიცვას კრიტიკული ორგანოები. ადამიანის სხეულში პრაქტიკულად არ არსებობს ადგილი, რომ ეს აპარატი ვერ მიუდგეს. ასეთი აპარატურით მსოფლიოს ბევრი წამყვანი კლინიკა ვერ დაიკვებინა.

თითოეული პაციენტის მკურნალობაში ჩვენს ექიმებთან ერთად ჩართულები არიან უცხოეთში მომუშავე ქართველი ექიმები, რომლებმაც ამ სფეროში უკვე მიაღწიეს დიდ წარმატებას: ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხარისხის განყოფილების უფროსი, პროფესორი ნათია ესაშვილი და ესპანეთის **Genesis Care**-ს ონკოლოგიის მულტიდისციპლინური ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი, **ESTRO**-ს საერთაშორისო რადიაციულ ონკოლოგთა საზოგადოებებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი, მურსის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მაია ჯულაშვილი-ერნანდესი. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მკურნალობის ტაქტიკისა და დასხივების გეგმის შედგენაში. მხარში გვიდგას **ESTRO**-ს (ევროპის რადიოთერაპევტთა და ონკოლოგთა საზოგადოება) პრეზიდენტი უმბერტო რიკარდი. მისი დახმარებით მალე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში ჩავერთვებით.

აქვე ვიტყვი, რომ მულტიდისციპლინური მიდგომა დიდი ფუფუნებაა. ონკოლოგიური დაავადების მკურნალობაში შესაძლოა საჭირო გახდეს ნევროლოგის, რეანიმატოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის და სხვა სპეციალისტების ჩართვა, ამიტომ მრავალპროფილური კლინიკა, სადაც ყველა პრობლემის ერთ სივრცეში მოგვარება შესაძლებელი, ძალიან მთხოვრებელია ონკოლოგიური პაციენტებისთვის.

რადიოთერაპიის დეპარტამენტის ექიმებმა **ირინა ჯობავამ** და **ლამა გოგინაშვილმა** სტუმრებს რამდენიმე საინტერესო შემთხვევა გააცნეს. მკურნალობის შედეგებმა ყველა დაარწმუნა, რომ სწორად ჩატარებული რადიოთერაპია მართლაც ეფექტიანია სიმსივნის დროს.